პირველი დამარცხება შინ

კუიბიშევი. “მეტალურგის” სტადიონი. 19 სექტემბერი.

“კრილია სოვეტოვი” (კუიბიშევი) – “დინამო” (თბილისი 1:2 (1:1).

“კრ. სოვეტოვი”: ბლოხინი, პავლოვი, ჟუპიკოვი, არუთინიანი, კაპაევი, პანფილოვი, არიაპოვი, პლატონოვი, სმირნოვი (კრაევი), ფეტისოვი, ფილიპოვი.

“დინამო”: გოგია, ხიზანიშვილი, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, ებრალიძე, ჩივაძე, მ. მაჩაიძე, ჩელებაძე (დვალიშვილი), დარასელია, ყიფიანი, კოპალეიშვილი (გ. მაჩაიძე).

მსაჯი: პ. კაზაკოვი (მოსკოვი).

დუბლიორები 1:2.

კუიბიშეველ ფეხბურთელებს წლევანდელ საკავშირო ჩემპიონატებში შინ არ განუცდიათ დამარცხება, ამიტომ მათი გულშემატკივრები განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენენ გუნდის მიმართ და სტადიონის ტრიბუნები ახლაც სავსე იყო.

მასპინძლებმა მატჩი თავბრუდამხვევი იერიშებით დაიწყეს, გოგიას მაშინვე მოუხდა რამდენიმე ძნელი ბურთის აღება, მე–6 წუთზე კი თამაშში “ჩაერია” დინამოელთა ძელი, რომელმაც პანფილოვის მიერ შორი მანძილიდან ძლიერად დარტყმული ბურთი უკუაგდო.

თბილისელები საკმაოდ მწვავე კონტრიერიშებით კმაყოფილდებოდნენ და სწორედ ერთ–ერთი ასეთ კონტრიერიშისას გამოჩნდა ელექტროტაბლოზე ციფრი 1. ეს მოხდა მე–15 წუთზე: დარასელია სწრაფად გაიჭრა მარჯვენა ფრთაზე, ზუსტად ჩააწოდა კარის წინ, სადაც ჩელებაძემ კარგად შეარჩია ადგილი – 1:0. გავიდა მცირე ხანი და კვლავ ხელსაყრელ პოზიციაში აღმოჩნდა ჩელებაძე, რომელსაც შეეძლო გაეზარდა ანგარიში, მის მიერ თავით დარტყმული ბურთი კი პირდაპირ ხელებში მიუვიდა ბლოხინს.

შესვენების შემდეგ “კრილია სოვეტოვმა” კიდევ უფრო მოუმატა ტემპს, განსაკუთრებით აქტიურობდნენ ფეტისოვი და პანფილოვი. 61–ე წუთზე პანფილოვის ერთ–ერთი გარღვევისას დინამოელთა მცველებმა წესი დაარღვიეს თავიანთ საჯარიმო მოედანზე და მსაჯმა 11–მეტრიანი დანიშნა. ფილიპოვმა ზუსტად გამოიყენა დარტყმა – 1:1.

ამ პერიოდისთვის თამაშის დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია. კუიბიშეველები თავგამოდებით იბრძოდნენ, მაგრამ კვლავ და კვლავ ძალზე სახიფათო იყო სტუმრების კონტრშეტევები. 86–ე წუთზე ყიფიანმა წამით გაითავისუფლა თავი მეტოქეთა მეურვეობისგან, მარჯვენა ფრთიდან მიაწოდა ბურთი და გ. მაჩაიძემ გაიტანა გადამწყვეტი გოლი, რომელმაც თასის მფლობელს მოუტანა ესოდენ საჭირო გამარჯვება.

უნდა აღინიშნოს თბილისის “დინამოს” ორგანიზებული, ენერგიული თამაში, განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მცველებმა და მეკარე გოგიამ. სწორედ გოგია მიიღებს სპეციალურ პრიზს, რომელიც საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა დააწესა ამ მატჩის საუკეთესო ფეხბურთელისთვის.

ჯ. ხუხაშვილი (ჩვენი სპეც. კორ.).
“ლელო”, 21 სექტემბერი, 1976 წ.